



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ანგარიში (2018-2019წწ.)

ძვირფასო რუსთაველებო,

პირველ რიგში მადლობა მინდა, გადაგიხადოთ იმ დიდი ნდობისთვის, რაც თქვენ გამომხატეთ ჩვენი გუნდის მიმართ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე. მე და ჩემს გუნდს ბოლომდე გვაქვს გათავისებული უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება. გპირდებით, რომ ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში, ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ იმისთვის, რომ რუსთავი გახდეს ძლიერი თვითმმართველი ქალაქი, ძლიერი საქართველოსთვის.

მას შემდეგ, რაც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ, აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები. ჩემს გუნდთან ერთად ვისმენ თითოეული რუსთაველის პრობლემებს და კომპეტენციის ფარგლებში ვცდილობთ მათ დახმარებას.

წარმოგიდგენთ გაწეული მუშაობის ანგარიშს, რათა რუსთაველები ფლობდეთ ინფორმაციას, ჩვენი გუნდის საქმიანობის შესახებ.

დროებითი სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომისიები

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 6 ფრაქცია, 5 დარგობრივი კომისია და 5 დროებითი სამუშაო ჯგუფი. მე ცხადია აქტიურად ვარ ჩართული ,თითოეული მათგანის მუშაობაში და ჩვენ ერთად ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ სიკეთე საზოგადოებისთვის ხელშესახები იყოს.

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე გაიმართა:

1. საკრებულოს - 26 სხდომა (12 რიგითი და 14 რიგგარეშე);
2. საკრებულოს ბიუროს - 26 სხდომა;

3. სამანდატო საპროცედურო და ეთიკის კომისიის - 16 სხდომა;
4. სოციალურ საკითხთა კომისიის - 9 სხდომა;
5. ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის - 19 სხდომა;
6. ქონების მართვის საკითხთა კომისიის - 19 სხდომა;
7. საფინანსო, საბიუჯეტო საკითხთა კომისიის - 18 სხდომა;
8. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის 2 სხდომა;
9. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის - 1 სხდომა;
10. რუსთავის განვითარების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის - 4 სხდომა;
11. ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი - 1 სხდომა;
12. ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 1 სხდომა;
13. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ - 2 სხდომა;
14. გენდერული თანასწორობის საბჭო - 2 სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივები

ყოველი თვის პირველ და მესამე ხუთშაბათს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს უმრავლესობის სხდომებს ვატარებთ. შეხვედრაზე განვიხილავთ ყველა იმ საჭირობოროტო და მიმდინარე საკითხებს, რომელიც დღის წესრიგშია.

სხდომაზე განიხილება საკრებულოს წევრების მოსაზრებები, იდეები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. მინდა წარმოგიდგინოთ იმ ინიციატივების ჩამონათვალი, რომელიც ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან, გაუღერებულ იქნა უმრავლესობის სხდომებზე. უმრავლესი მათგანი განხორციელდა, ზოგი მათგანი კი დამუშავების სტადიაშია.

ყოველი თვის მე-2 და მე-4 ხუთშაბათს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან სამუშაო თათბირი ტარდება, სადაც ინდივიდუალურად და სახელობითად განვიხილავთ ყველა იმ პრობლემას, რომელსაც მოსახლეობა შეხვედრების დროს გვაწვდის. ამ სამუშაო შეხვედრებს ასევე ესწრებიან მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები და აქვე მინდა

ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს ირაკლი ტაბალუას და მთელ მის კოლექტივს ნაყოფიერი ურთიერთანამშრომლობისთვის.

ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს, მე ჩემს სამუშაო კაბინეტში, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატები მერის წარმომადგენლების ოფისებში, მოქალაქეებთან შეხვედრებს ვმართავთ. სადაც ვეცნობით მათ სატკივარს და პრობლემებს. მათი მოსმენის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ვსახავთ მათი პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, მეც ვაწყობ გასვლით შეხვედრებს, რაც ემსახურება ჩვენი თანაქალაქელებისათვის აქტუალური საკითხების ადგილზე გაცნობას. ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმების და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას. ამას აქვს სისტემატური და ყოველდღიური ხასიათი. სტატისტიკისთვის, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში ჩემთან ოფისში შევხვდი 400-ზე მეტ მოქალაქეს და მქონდა 270-ზე მეტი გასვლითი შეხვედრა, თუმცა ეს არ არის საკმარისი და დიდი სურვილი მაქვს ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში მოვახერხო იმდენი, რომ ჩვენ ქალაქში მაცხოვრებელი თითოეული ადამიანი გავიცნო პირადად ,შევისწავლო მათი პრობლემები და მაქსიმალურად დავეხმარო, მათი გადაწყვეტის საკითხებში.

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე შემოსულია, **576** განცხადება. განცხადებებზე, კომპეტენციის ფარგლებში მოხდა სათანადო რეაგირება, უმეტესი ნაწილი, ჩვენი შუამდგომლობის შედეგად დაკმაყოფილდა, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც პირად კონტროლზე მაქვს აყვანილი.

1. არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, ქალაქის მომავალი განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში. ჩვენ ვართ მაქსიმალურად გამჭვირვალეები. საზოგადოებას, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებს ,შეუძლიათ ღიად ჩაერთონ საკრებულოს საქმიანობაში. ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეფიქრებინა ურთიერთანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც იქნებოდა გარანტი,საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკისა. არასამთავრობო სექტორთან ერთად აქტიურად ვიმუშავეთ 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირებაზე. საკრებულოს მხრიდან საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში

ჩართულია ჩემი მოადგილე, ნინო ქავთარაძე, რომელსაც არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

2. ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, სადაც რუსთავს, ქალბატონი ნინო ქავთარაძე წარმოადგენს, მუშაობს თვითმმართველობების გაძლიერებასა და განვითარებაზე. ეს არის უმნიშვნელოვანესი პლატფორმა მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის მჭიდრო, პრაგმატული ურთიერთობა;

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქის საკრებულოს საქმიანობის და გამოცდილების გაზიარება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, აქტიურ ურთიერთთანამშრომლობაზე და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;

5. ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;

2018 წლის ივნისში, ჩვენმა ქალაქმა „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ქ.ბათუმთან და ქ.ქობულეთთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრის, ასევე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორცაა: განათლების სფერო, სოციალური მიმართულებები, ბიუჯეტის დაგეგმარება, ტურიზმის განვითარება, აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ზემოხსენებულ ქალაქებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების შემდგომ, მიმდინარეობს მათთან აქტიური, სისტემატიური და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობა. სწორედ ბათუმისა და ქობულეთის გამოცდილებას გავიზიარებთ, ველო ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგების

კუთხით. ჩვენ მოვახდენთ ველო ბილიკების, საპარკინგე ადგილების გონივრულად დაგეგმარებას და ქალაქის სივრცითი განვითარების ხელშეწყობას. ასევე გვსურს ბოტანიკური კუთხის მოწყობა, რომელიც როგორც ეკოლოგიური, ასევე დასვენებისთვის, იქნება კიდევ ერთი ახალი ჯანსაღი სივრცე რუსთავში.

7. „გენდერული თანასწორობის გაძლიერება ეროვნულ დონეზე“

ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას. ამ მიზნით შექმნილი გვაქვს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნინო ქავთარაძეა. საბჭომ უკვე ჩაატარა 2 სხდომა და რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციაში ვმუშობთ საბჭოს სამოქმედო გეგმაზე, რომლის განხორციელებაც უკვე მომავალ წელს აისახება ჩვენი ბიუჯეტის დაგეგმარებაზე.

1. განათლება

მოგეხსენებათ რომ ჩვენი, მმართველი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი განათლებაა. ამდენად ჩვენ შევიმუშავეთ ქალაქის ინტერესებსა და სპეციფიკაზე ორიენტირებულ განათლების სტრატეგიას, რომელიც, სკოლამდელ აღზრდას, სასკოლო, ინსტიტუციურ და არაფორმალურ მიმართულებებს მოიცავს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ გვქონდა სამუშაო დოკუმენტის განხილვა საკრებულოსა და მერიაში.

2. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღა“-ს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

ჩვენს ქალაქშია ერთ-ერთი თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებზე მორგებული პროფესიული სასწავლებელი „მოდუსი“, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით მრავალი მიმართულებით მუშაობს იმისთვის, რომ განათლება მეტად ხელმისაწვდომი და მიზან-შედეგობრივი იყოს. კოლეჯ „ახალ ტალღა“-ს თავის საქმიანობის პრიორიტეტად, არჩეული აქვს ბიზნეს- ადმინისტრირების მიმართულება და ისეთი სპეციალობები, რომლებიც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ჩვენ, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში,

რომელიც გაფორმდა რუსთავის საკრებულოსა და საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღა“-ს შორის 2018 წლის ივნისში, შეგვეძლება გავაგზავნოთ სასწავლებლად რუსთაველი ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლო კურსის წარჩინებით დასრულების შემდეგ, დასაქმდებიან, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. ან დაუბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ქალაქს და მიღებული ცოდნის და გამოცდილების რელიზებას მოახდენენ.

3. ეკოლოგია-ჯანსაღი ცხოვრების წესი.

ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, წარმოადგენს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენს ქალაქში. მე გახლავართ სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი. აღნიშნული ჯგუფი აქტიურად მუშაობს ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე და სპორტული კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მიღწევად შეიძლება ჩათვალოს 21 წლიანი ინტერვალის შემდეგ 2018 წლის 30 აპრილიდან - 3 მაისის ჩათვლით ქ. რუსთავში გამართული, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა სამუშაო ჯგუფებიც აქტიურად საქმიანობენ თავიანთი მიმართულებების მიხედვით და გვაქვს უკვე კონკრეტული მიღწევები და შედეგები, რომლებსაც ამ ჯგუფების ხელმძღვანელი პირები თვითონ წარმოადგენენ საკუთარ ანგარიშებში.

ბიუჯეტი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი საქალაქო სამსახურების, მერის წარმომადგენლების, ააიპ-ების და შპს-ების ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობ რუსთავისთვის მნიშვნელოვანი პროექტების და ჩვენი ქალაქის უმთავრესი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის განხილვასა და ფორმირებაში. პერმანენტულად ვისმენთ მერიის სამსახურების ანგარიშს, ვიძლევით რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს. 2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურული განვითარება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, ქალაქის გამწვანება-განაშენიანება და ეკოლოგია. ჩვენი მთავარი ამოცანაა ,ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა.

ქ. რუსთავის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს - 64 434 483, 08ლარს;

პრიორიტეტების მიხედვით ხარჯვითი ნაწილი გამოიყურება შემდეგნაირად:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 28 465 834, 28ლარი;

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა შემსრულებელ სამშენებლო კომპანიებს შორის გაფორმდა 79 ხელშეკრულება ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე, ხოლო 11 პროექტზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები. აქედან 63 ინფრასტრუქტურულ პროექტზე უკვე დასრულებულია სამუშაოები, ესენია:

1. გზები და ტროტურები 10 პროექტი, ღირებულებით -2367927.18 ლარი;
2. დასვენების ობიექტები 5 პროექტი , ღირებულებით - 730563.74 ლარი;
3. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია 8 პროექტი, ღირებულებით - 615054.93ლარი;
4. საჯარო სკოლების რეაბილიტაცია 28 პროექტი, ღირებულებით- 1411437.53ლარი;
5. სტადიონების რეაბილიტაცია 9 პროექტი,ღირებულებით- 1151885.62 ლარი;
6. შენობა-ნაგებობა 3 პროექტი , ღირებულებით- 350313.04 ლარი.

ხოლო დარჩენილ 16 ინფრასტრუქტურულ პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, ესენია:

1. გზები და ტროტუარები 6 პროექტი, ღირებულებით- 7048411.97 ლარი;
2. დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია 2 პროექტი, ღირებულებით -1129545.38ლარი;
3. საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია 3 პროექტი, ღირებულებით-155570.74 ლარი;
4. სტადიონების რეაბილიტაცია 2 პროექტი,ღირებულებით - 606434.98 ლარი;
5. შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია 3 პროექტი. ღირებულებით - 2440920.39 ლარი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ მულტიფუნქციური სპორტკომპლექსის (სპორტის სასახლე) აშენების საკითხზე.

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 238 684, 65 ლარი;
- განათლება (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა) – 6 940 060 ლარი.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების მოსახლეობასთან სისტემატიური შეხვედრები, ყველა იმ პრობლემის იდენტიფიცირებას უწყობს ხელს, რომლებიც მაქსიმალურად იქნება პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებული 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას.

სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო

საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში 2014 წლის 4 დეკემბრის გუბერნატორის #57 განკარგულების საფუძველზე შექმნილია სამხარეო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს, ბატონ შოთა რეხვიაშვილს იმ თანადგომისათვის და მხარდაჭერისათვის, რასაც ბატონი შოთა და მთელი სამხარეო ადმინისტრაცია იჩენს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ბიუროსა და საკრებულოს სხდომები

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა 26 ბიუროს სხდომა და 26 საკრებულოს სხდომა. (რიგგარეშე - 14, რიგითი - 12).

სულ მიღებული იქნა 162 განკარგულება და 74 დადგენილება.

მე და ჩემს გუნდს გათავისებული გვაქვს რა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც რუსთაველებმა მოგვანიჭეს, ყოველთვის წარვდგებით დეტალური ანგარიშით თქვენს წინაშე. კვლავ დიდ მადლობას გიხდით ნდობისათვის და დიდი მხარდაჭერისთვის.

და მთავარი: საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც ცალკე მდგომი პიროვნება, მარტო ვერაფერ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა, რომ არა ის დიდი გუნდი, რომელთან ერთადაც ხშირად ღამეები გვითენებია და დასახული მიზნისთვის ერთად მიგვიღწევია. მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს იმ შრომისთვის, რომელსაც ისინი წევრ ჩვენი რუსთაველების საკეთილდღეოდ, მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის მერს, ბატონ ირაკლი ტაბაღუას და მთელ აღმასრულებელ რგოლს ჩვენი მუნიციპალიტეტისა, სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს ბატონ შოთა რეხვიაშვილს და რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტში ბატონ, გიორგი ბეგაძეს და ბატონ, პაატა მხეიძეს, თანადგომისა და ურთიერთთანამშრომლობისთვის.

პირობას გაძლევთ, რომ მე და მთელი ჩვენი გუნდი 24 საათიან რეჟიმში მუხლჩაუხრელად ვიმუშავებთ, ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისთვის და სწრაფი განვითარებისთვის.

დიდი მადლობა .